28
აგვისტო
ოთხშაბათი,
1963 წ.
№ 170 (2275)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რ**ომან რურუასათვის ასეთი სიტუაცია ჩვეულებრივი ამბავია. და ქართველმა ფალავანმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტექნიკური მოჭიდავეა თავის წონაში.

რურუა ასეთ ეფექტურ და გაბედულ ილეთს უტარებს არა რიგით მოჭიდავეს, არამედ პირველი ადგილის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტს, უკრაინელ ი. გრიგორიევს, სწორედ იმას, ვინც დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი გ. საპუნოვი.

ამ გამარჯვებამ ქართველ სპორტსმენს ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა ხალხთა III სპარტაკიადაზე მსუბუქ წონაში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

**ჯ**ერ კიდევ ჩოგბურთელთა ტურნირის დაწყებამდე ალექსანდრე მეტრეველის გვარი ფიგურირებდა ოქროს მედლის პრეტენდენტთა სიაში. აქ იყვნენ თ. ლეიუსიც და ს. ლიხაჩოვიც, ა. პოტანინიც და მ. მოზერიც. სპეციალისტების აზრით ამ ხუთეულის ყოველი წევრის გამარჯვება კანონზომიერი ამბავი იქნებოდა.

ყველაზე სერიოზული განაცხადი ჩემპიონატის ტიტულზე გუნდური შეჯიბრების პროცესში გააკეთა ა. მეტრეველმა, როდესაც ზედიზედ დაამარცხა თავისი მთავარი კონკურენტები. მაგრამ როგორც ამბობენ, ჩოგბურთელი მთელ შესაძლებლობას პირად პირველობაში ავლენს. ამიტომ ზოგიერთებმა მეტრეველის პირველ გამარჯვებას ეჭვის თვალით შეხედეს.

მაგრამ პირად პირველობაში ახალგაზრდა თბილისელმა ოსტატმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მან თანმიმდევრულად დაამარცხა ჩვენი ქვეყნის ორი ჩემპიონი — ა. პოტანინი და რ. სივოხინი და მხოლოდ დაძაბულ ბრძოლაში დაუთმო ადგილი გამოცდილ თ. ლეიუსს.

• • •

**სურათზე** აღბეჭდილია ა. მეტრეველ-ა. პოტანინის შეხვედრის მომენტი. მეტრეველი უკანა პლანზეა.

# სპარტაკიადა და ჩვენი ამოცანები

★

გ. სახარულიძე,
საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

★

ათიოდე დღეა, რაც დამთავრდა საერთაშორისო სპორტის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა — სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა, რომლის საერთო მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო 66 მილიონმა კაცმა. ეს ციფრი მეტყველებს იმაზე, თუ როგორ მასობრივადაა დანერგილი საბჭოთა კავშირში ფიზკულტურა და სპორტი, როგორ განუხრელად სრულდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის დებულებები: გადავაქციოთ ფიზიკური კულტურა და სპორტი ყველა საბჭოთა ოჯახის საკუთრებად, ჩავაბათ მასში ყველა ასაკის ადამიანები.

სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა, როგორც საერთაშორისო სპორტული მოძრაობის მნიშვნელოვანი მოვლენა, აღსანიშნავია არა მარტო მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობით, არამედ მაღალი შედეგებითაც. ამ დიდი შეჯიბრების დღეებში საბჭოთა სპორტსმენთა მიერ დამყარებულ იქნა 6 მსოფლიოს, 9 ევროპის, 35 საკავშირო და 386 რესპუბლიკური რეკორდი. ნაჩვენები იქნა სპორტის ოსტატის 1.080 შედეგი.

როგორც კი გამოქვეყნდა საკავშირო სპორტკავშირის მოწოდება — „60 მილიონი მონაწილე სპარტაკიადაში“, რესპუბლიკურმა სპორტკავშირმა დაუყოვნებლივ მიიღო სათანადო დადგენილება და ჩვენი მუშაობის ყველა რგოლში გაიშალა ნაყოფიერი საქმიანობა. როდესაც შევაჯამეთ შედეგები, გამოირკვა, რომ რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობა მიუღია 1.257.000 კაცს. ისეთი რესპუბლიკისათვის, რომელიც სულ 4 მილიონ მოსახლეობას ითვლის, ეს მეტად მნიშვნელოვანი ციფრია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ღონისძიებებზე გაუმჯობესებულ იქნა 345 რაიონული, 258 საოლქო და 98 რესპუბლიკური რეკორდი.

რესპუბლიკის მშრომელებს აინტერესებთ საკავშირო III სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის გამოსვლები. ვიდრე კონკრეტულად გადავიდოდე ტექნიკურ შედეგებზე, უნდა აღვნიშნო, რომ III სპარტაკიადისათვის მზადება დავიწყეთ უკვე მაშინ, როდესაც დამთავრდა II სპარტაკიადა. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ რესპუბლიკის ფართო აქტივთან ერთად ანალიზი გავუკეთეთ II სპარტაკიადის შედეგებს, გავითვალისწინეთ ყველა შეცდომა, შევადგინეთ პერსპექტული გეგმა, სპორტის სახეობათა ფედერაციებს მივცათ მტკიცე დავალებანი ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინებისა და სასწავლო-მეთოდური ორწლიანი გეგმის შედგენის შესახებ. ამას გარდა, გადავწყვიტეთ III სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში ყველა შეჯიბრება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ ჩატარდებოდა, ყოფილიყო ეტაპი სპარტაკიადის ფინალისათვის.

საქმეს ართულებდა III სპარტაკიადის დებულების სიახლეები. ახლა ჩათვლაში უნდა შესულიყო არა მარტო მოზრდილთა გუნდების, არამედ მოსწავლეთა და საწარმოო კოლექტივების ნაკრები გუნდების შედეგებიც, ე. ი. თუ II სპარტაკიადაზე რესპუბლიკის დელეგაცია 407 სპორტსმენისაგან შედგებოდა, III სპარტაკიადის დებულება მოითხოვდა ჩვენი დელეგაცია დაკომპლექტებულიყო 700 მაღალი კლასის სპორტსმენით. ამას გარდა, მოსწავლეთა სპარტაკიადის დებულებიდან ამოიღეს წყალბურთი, ჩოგბურთი, ნიჩბოსნობა, ტყვიით სროლა, რამაც არსებითად შეასუსტა ჩვენი შანსები ამ შეჯიბრებაზე.

ამრიგად, ერთდროულად გვიხდებოდა სამ უბანზე მუშაობა (მოზრდილთა, მოსწავლეთა და საწარმოო კოლექტივების ნაკრები გუნდები) და რომ ეს შრომატევადი სამუშაო სასახელოდ შეგვესრულებინა, მობილიზაცია გავუკეთეთ მთელს ჩვენს ძალებს. რესპუბლიკის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით გავშალეთ მუშაობა, კონკრეტული ამოცანა დავუსახეთ ნაკრები გუნდის თვითეულ წევრს. ძირითად მოწინააღმდეგეებად გვყავდა მოსკოვის, რსფსრ-ს, უკრაინის, ლენინგრადისა და ბელორუსიის ძლიერი კოლექტივები, მათთან უნდა გაგვემართა სპორტული პაექრობა საერთო მეხუთე ადგილის შესანარჩუნებლად ან წინ გადასანაცვლებლად. აღნიშნული კოლექტივების ცალცალკე დახასიათება საჭირო არ არის. მათი სპორტული პოტენციალი ყველასათვის ცნობილია. ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ III სპარტაკიადაში სპორტული ბრძოლა უფრო დაძაბული იქნებოდა და მასში მონაწილე ყველა გუნდი გაცილებით კარგად მომზადებული გამოვიდოდა, ვიდრე II სპარტაკიადაზე. ბევრ სახეობაში საკუთარი თავის იმედი გვქონდა, მაგრამ იყო ახალი სახეობები, რომლებშიც ჩამოვრჩებოდით და სპარტაკიადის მზადების პერიოდში საჭირო იყო მათი წამოწევა, სპორტსმენთა მომზადება და მეგობრული კოლექტივის ჩამოყალიბება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1962 წლის სპორტული სეზონი. ეს იყო მრავალ გამარჯვებათა სეზონი, კალათბურთში ევროპის თასი, ხელბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, წყალბურთში მეორე

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

# ნ. ს. ხრუშჩოვი იუგოსლავიაში

გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი იუგოსლავიაში. მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობის მეთაური და მისი მეუღლე ნინო პეტრეს ასული იახტა „გალებით“ საპორტო ქალაქ სპლიტში ჩავიდნენ, სადაც მათთან ერთად იყვნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ა. რანკოვიჩი, იუგოსლავიის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი ვ. ვლახოვიჩი და სხვა ოფიციალური პირები, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, მისი თანმხლები პირები გაემართნენ ქალაქის დასათვალიერებლად. ქუჩებში გამოსული ათასობით მშრომელი გულთბილად მიესალმებოდა საპატიო საბჭოთა სტუმარს.

ამის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი, მისი თანმხლები პირები ჩავიდნენ ბრიონის კუნძულზე, სადაც მათ შეხვდნენ იუგოსლავიის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო და იოვანკა ბროზი, აგრეთვე ხორვატიის საკრებულოს თავმჯდომარე ი. კრაიაჩიჩი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კ. პოპოვიჩი და სხვა პირები.

ბრიონის კუნძულის თეთრ ვილაში გაიმართა მოლაპარაკება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვსა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურ მდივანს იოსიპ ბროზ ტიტოს შორის. მოლაპარაკების დროს, რომელიც გულითადობის და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა მეგობრული გაზიარება თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე. გაიმართა მოლაპარაკება ორი ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

გუშინ მოლაპარაკება გაგრძელდა ბრიონის კუნძულზე.

# ვ. ბობროვი „სპარტაკის“ მწვრთნელია

ზამთარი ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ჰოკეისტთა უძლიერესი გუნდები უკვე შეუდგნენ გათამაშებისათვის მზადებას. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი და პოპულარული გუნდი მოსკოვის „სპარტაკი“ მოკლე ხანში გაემგზავრება ჩეხოსლოვაკიაში, სადაც გამართავს საწვრთნელ ვარჯიშებს.

მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელობაში მოხდა ცვლილება. გუნდს სათავეში ჩაუდგნენ წარსულში ცნობილი ჰოკეისტები ვ. ბობროვი და ბ. აფანასიევი.

# სპარტაკიადა და ჩვენი ამოცანები

(დასასრული)

საკავშირო ადგილი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები ჭიდაობაში, ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ზამთრის სახეობებში იმედს გვაძლევდნენ, რომ მომავალ სპარტაკიადო ბატალიებში წარმატებით გამოვიდოდით. ამას გარდა, გასულ წელს მეოთხედ ზედიზედ მოვიპოვეთ საკავშირო სპორტკავშირის გარდამავალი ჯილდო გეგმის ძირითადი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დამთავრდა 1962 წელი, ჩავატარეთ საქართველოს სპარტაკიადა და კვლავ შევუდექით სამზადისს. პირველად სტარტი აიღეს მოსწავლეებმა. მათი სპარტაკიადა ჩატარდა ვოლგოგრადში. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი დღეებიდანვე ჩვენმა ბავშვებმა გაგვახარეს თავიანთი შედეგებით. ისინი მთელი შეგნებულობით უდგებოდნენ საქმეს და ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა რესპუბლიკის სპორტული ღირსებისათვის ბრძოლა. ამ დიდ შეჯიბრებაზე მოვიპოვეთ 3 თასი პირველი ადგილების დაკავებისათვის, 6 — II და III გუნდური ადგილები და 12 საპრიზო ადგილი. ასეთმა კარგმა შედეგებმა 134,5 ქულა მოგვცა, 12 ქულით გავასწარით ლენინგრადის ძლიერ კოლექტივს და 0,5 ქულით ჩამოვრჩით რსფსრ-ს კოლექტივს. ამრიგად, ამ შეჯიბრებაზე საქართველოს მოსწავლეებმა მოიპოვეს 28 ოქროს, 12 ვერცხლისა და 16 ბრინჯაოს მედალი. სპარტაკიადაში გამარჯვებულის სახელი მოიპოვეს ც. ჭკადუამ, ყ. ღუდუშაურმა, კ. ონისიმოვმა, ნ. ნოვიკოვმა, ზ. სარქისოვმა, თ. რამაზაშვილმა, ჯ. ჩელიშევმა, კალათბურთელებმა, ფრენბურთელებმა. ყოველივე ამაში დამსახურება მიუძღვით ჩვენს მწვრთნელებს, რომლებსაც ბავშვთა შორის მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. ასეთები არიან: შ. მარგიშვილი, გ. ბაბახანიდი, ვ. ივანოვი, ნ. ბახუტაშვილი, ე. ქოვლიევა, ლ. იოაკიმიდი და სხვები.

ასე რომ, 134,5-ქულიანი მარაგით ჩავებით III სპარტაკიადის ძირითად ბრძოლაში. პირველი დღეებიდანვე იგრძნობოდა, თუ როგორი დაძაბული იქნებოდა ბრძოლა ყველა ეტაპზე, ყველა საპრიზო ადგილისათვის. უკვე ცნობილია, რომ მხოლოდ სპარტაკიადის უკანასკნელ დღეს ჩამოართვა პირველი ადგილი მოსკოვის გუნდმა უკრაინას. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა სტარტი კარგად აიღეს, შემდეგ ზოგიერთ სახეობაში თავი იჩინა სუსტმა მხარეებმა, რის შედეგად IV ადგილი დავთმეთ და V ადგილზე გადავედით. 58,5 ქულით გავასწარით ჩვენს უახლოეს მეტოქეს, ბელორუსიის გუნდს და საერთო V ადგილზე გამოვედით.

ახლა გავარჩიოთ შედეგები სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით. ვნახოთ, ვინ როგორ იბრძოდა რესპუბლიკის სპორტული ღირსების დასაცავად. დავიწყოთ კალათბურთით. ამ სახეობაში ჩვენ საპრიზო ადგილის იმედი გვქონდა, მაგრამ არც ვაჟებმა და არც ქალებმა იმედები არ გაგვიმართლეს. ვაჟებმა დაიკავეს VII ადგილი, ხოლო ქალებმა — XIII. ორივე გუნდი შეჯიბრებას ატარებდა ზერელედ, უპასუხისმგებლოდ. ვაჟთა გუნდში (მწვრთნელი ო. ქორქია) არანორმალური მდგომარეობა შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ გასული წლის საკავშირო პირველობაზე, შემდეგ კი სრულად გამოვლინდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. მაშინ მიღებული ზომები, როგორც ჩანს, საკმარისი არ აღმოჩნდა. განსაკუთრებით გამოვლინდა სპორტსმენთა დაბალი მორალური მომზადება და არაკოლექტიურობა ესტონელებთან შეხვედრის დროს. ქალთა გუნდის (მწვრთნელი ლ. ძეკონსკი) თამაში ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა. გუნდმა მოიგო პირველი მატჩი მოსკოვის ნაკრებთან და შემდეგ კი ფაქტიურად შეწყვიტა ბრძოლა. ვფიქრობ, ამ უბანზე განსაკუთრებული ზომების მიღება გვმართებს, რათა აღვადგინოთ სპარტაკიადაზე შელახული სახელი.

კარგად გამოვიდნენ მოჭიდავეები. II ადგილი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში და 4 ჩემპიონი — საპატიო შედეგია. თუმცა ორივე სახეობაში პირველი გუნდური ადგილის დაკავების შესაძლებლობა გვქონდა. ო. ეგაძე, რ. რურუა, ვ. რუბაშვილი, ზ. ბერიაშვილი სპარტაკიადის ჩემპიონები არიან და მათი ვაჟკაცური ჭიდაობა დიდხანს ემახსოვრებათ მოსკოველ სპორტის მოყვარულებს.

საგზატკეცილო ველორბოლაში XV ადგილის დაკავება ყველასათვის მოულოდნელი იყო. აქ ჩვენ პირველ ხუთეულში მოხვედრას ვფიქრობდით და ეს არ იყო ზერელე პროგნოზი. ეს გახლდათ მრავალი შეჯიბრების ანალიზის შედეგი; ველოსიპედისტთა მწვრთნელი ა. გუნია მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში კეთილსინდისიერად მუშაობდა, მაგრამ დაიწყო რბოლა და გამოვლინდა, რომ სპორტსმენები ს. კვინიკაძე, ე. ბირიუკოვი, ა. თავაძე, რ. გუძი, ვ. კეხბა თუ წინასწარ შეჯიბრებებში კარგად გამოდიოდნენ, სპარტაკიადაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ. ეტყობა, მწვრთნელმა სადღაც მოადუნა ყურადღება, ვერ შეამჩნია სპორტული რეჟიმის დარღვევის შემთხვევები და სავალალო შედეგიც მივიღეთ. ამ საქმეში დიდი ბრალი მიუძღვით აგრეთვე მწვრთნელ ვ. ძებნიაურს და გუნდის უფროსს მ. ბარამიას. ტრეკზე რბოლაში VI ადგილზე გამოვედით. მაგრამ თავი შეგვიძლია დავიმშვიდოთ იმით, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებს მივეცით ისეთი მაღალი კლასის სპრინტერი, როგორიც ო. ფხაკაძეა. მან დამსახურებულად მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი. რაც შეეხება საგზატკეცილო მრბოლელებს, მათი საკითხი უახლოეს დღეებში იქნება განხილული და სათანადო ღონისძიებებიც დაისახება.

ქების ღირსნი არიან წყალბურთელები (მწვრთნელი ნ. გვახარია). მათ ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ეს იყო სანიმუშო კოლექტივი, რომელიც კრიტიკულ მომენტში სწრაფად უკეთებდა თავის ძალებს მობილიზაციას, სძლევდა ყველა სიძნელეს. ასე იყო უკრაინასთან გადამწყვეტ მატჩში. როცა ანგარიში იყო 3:1 უკრაინელთა სასარგებლოდ, ჩვენმა წყალბურთელებმა უდიდესი ფიზიკური დატვირთვის ხარჯზე გარდატეხა შეიტანეს თამაშში და შეხვედრა მოიგეს — 4:3.

სპარტაკიადის დაწყებამდე ბევრ საყვედურს გამოვთქვამდით ფრენბურთელებზე. არ მოგვწონდა გუნდის სპორტული ფორმა, ტაქტიკური სახე, მაგრამ მათ სპარტაკიადაზე აჩვენეს, თუ როგორ უნდა კოლექტივის ღირსებისათვის ბრძოლა. ვაჟებმა დაიკავეს III ადგილი, ხოლო ქალებმა — VIII. ნაყოფიერად იმუშავეს ტანმოვარჯიშეებმა, მათ მიერ დაკავებული საერთო IV ადგილი მაჩვენებელია იმისა, რომ კოლექტივი ნიჭიერი ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული და მომავალიც კარგი აქვთ. დამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ მოჭადრაკეები, მოფარიკავეები, ძალოსნები, აკადემიური ნიჩბოსნები, კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ ჩოგბურთელებს, მაგიდის ჩოგბურთელებს, მოცურავეებს.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ნიჩბოსანთა (კანოე, ბაიდარა) შესახებ. ისინი ამ სპარტაკიადაზე VI ადგილზე გამოვიდნენ, მაგრამ მათ ჰქონდათ წინ გადანაცვლების საშუალებაც და ეს თუ არ მოხდა, ამაში დამნაშავეა ნიჩბოსანი მატკავა, რომელმაც თავისი პირადი ინტერესები კოლექტივისაზე მაღლა დააყენა და რბოლის დროს დისტანციიდან ლაჩრულად გაქცევა სცადა. როგორც ყოველთვის, ახლაც სუსტად გამოვიდნენ მძლეოსნები. ბევრი ენერგია და სახსრები დაიხარჯა ამ სახეობის აღმავლობისათვის. წარმატება თითქოს სახეზე იყო, სპარტაკიადაზე მივიღეთ 45 ჩათვლა, ეს შედეგი საქართველოს მძლეოსნებს ჯერ არც ერთ შეჯიბრებაზე არ უჩვენებიათ, მაგრამ IX ადგილს მაინც ვერ ავცდით. გამოდის, რომ ჩვენი სპორტული მეტოქეები უფრო კარგად მოემზადნენ, ვიდრე ჩვენ, ან ნაყოფიერად ვერ გამოვიყენეთ მოსამზადებელი პერიოდი.

სუსტად გამოვიდნენ აგრეთვე ცხენოსნები, ხუთჭიდელები, წყალში მხტომელები, მესტენდურეები. მართალია, ტყვიით მსროლელებმა გუნდურ ჩათვლაში თავი ვერ ისახელეს, მაგრამ პირადში სპარტაკიადის 2 ჩემპიონი (ა. სტროევი და ლ. ჟურული) მოგვცეს, რაც შეეხება მესტენდურეებს, რომლებმაც ამ სპარტაკიადაზე სამი ადგილით უკან გადაინაცვლეს, მათს შესახებ რესპუბლიკის სპორტკავშირმა უკვე იმსჯელა და აღნიშნა, რომ ასეთი ჩავარდნა შედეგი იყო გუნდში შექმნილი არანორმალური მდგომარეობისა და პირველ რიგში, მესტენდურეების მაჩხანელის, მეგრელაძის, სეგალევიჩის გამთიშველი საქმიანობისა. ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგ გუნდის მზადებაზე პასუხისმგებელმა დ. ცომაიამ დროულად არ მიიღო ზომები.

ქულათა საერთო ჯამში თავიანთი წვლილი შეიტანეს საწარმოო კოლექტივების ნაკრებმა გუნდებმა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან სპორტკლუბ „სინათლის" ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც I ადგილი დაიკავეს. სპორტკლუბის ძალოსნები IV ადგილზე გამოვიდნენ, VI ადგილზე იყვნენ მოცურავეები, ხოლო, რაც შეეხება ველოსიპედისტებს, მათ აქაც „ისახელეს თავი" და XIV ადგილზე აღმოჩნდნენ.

ამრიგად, მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მოპოვებულ 134,5 ქულას დაემატა საწარმოო კოლექტივების 56 ქულა და რაც მთავარია, მოზრდილთა ნაკრები გუნდების 248,5 ქულა. საერთო ჯამში მივიღეთ 439 ქულა და როგორც წინა სპარტაკიადაზე, ისე ახლაც მოსკოვის, უკრაინის, რსფსრ-ს, ლენინგრადის ძლიერი კოლექტივების შემდეგ დავიკავეთ საერთო მეხუთე ადგილი.

სპორტის მოყვარულებს ბუნებრივად დაებადებათ კითხვა, თუ წინა ორ სპარტაკიადაზე საერთო V ადგილი დავიკავეთ და ახლაც ასეთივე შედეგი გავიმეორეთ, ეს ერთის მხრივ ჩვენი შედეგების სტაბილურობაზე მეტყველებს, ხოლო მეორე მხრივ — სტატიურობაზე. ერთი შეხედვით ასეა, მაგრამ თუ გადავხედავთ მონაცემებს, დავინახავთ, რომ წინსვლა არის. მაგალითად, II სპარტაკიადზე ჩვენ მხოლოდ 3 ოქროს მედალი მოვიპოვეთ, III-ზე კი 8, ამას გარდა, ჩვენს აქტივშია 11 მეორე, 24 მესამე, 17 მეოთხე, 11 მეხუთე და 23 მეექვსე ადგილი. ეს შედეგები გაცილებით უკეთესია I-II სპარტაკიადის ერთად აღებულ შედეგებთან შედარებით. ნაჩვენები იქნა სპორტის ოსტატის 60 შედეგი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მასობრიობას და სპორტსმენთა შერჩევას უშუალო კავშირი აქვს მოსახლეობის რაოდენობასთან, მაშინ ყველაფერი აშკარა გახდება.

ამრიგად, სპარტაკიადაზე V საერთო ადგილი დავიკავეთ. მაგრამ რომ რესპუბლიკის მშრომელებს საერთო წარმოდგენა ჰქონდეთ თუ რომელმა რაიონმა, ქალაქმა ან სპორტულმა საზოგადოებამ რა მონაწილეობა მიიღო ნაკრები გუნდების დაკომპლექტებაში, მოვიყვანთ შემდეგ მაჩვენებლებს:

ნაკრებ გუნდებში თბილისიდან მონაწილეობდა 355 სპორტსმენი, სოხუმიდან — 22, ფოთიდან — 14, მცხეთიდან — 13, ბათუმიდან — 12, ქუთაისიდან — 10, რუსთავიდან — 4, მახარაძიდან — 2, ზუგდიდიდან — 2, ცხინვალიდან, გორიდან, გალიდან და ლესელიძიდან — თითო. თუ ზემოჩამოთვლილ ციფრებს სპორტულ საზოგადოებებზე გავანაწილებთ, ასეთ სურათს მივიღებთ: „დინამო" — 177, „ბურევესტნიკი" — 100, „სპარტაკი" — 67, ოფიცერთა სახლი (თბილისი) — 18, „განთიადი" — 41, „კოლმეურნე" — 25, „ვოდნიკი" — 16, „მოსკავშირი" — 9, „ლოკომოტივი" — 6, განათლების განყ. — 5, „შრომითი რეზერვები" — 4.

როგორც ვხედავთ, ეს ციფრობრივი მონაცემები ყველაფერზე ნათლად ლაპარაკობენ. საჭიროა დასკვნების გაკეთება. ასე მუშაობის გაგრძელება არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენს წინაშე ახლა გაზრდილი ამოცანები დგას და ასეთი ტემპით მუშაობის გაგრძელება დაუშვებელია.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც გულწრფელად განიცდიდნენ ჩვენს გამოსვლებს საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, აგრეთვე იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დელეგაციის მზადებაში. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მწვრთნელები, რომლებმაც თავდაუზოგავად იმუშავეს რესპუბლიკური სპორტული ღირსებისათვის: მ. თიკანაძე, ვ. კუხიანიძე, ნ. გვახარია, ლ. კაპიტონოვი, ა. საფრონოვი, ა. კლდიაშვილი, ა. თეოსიანი, რ. ცაგარელი, ა. ხანგულიანი, გ. ჭილაია, ს. ჯაიანი.

სპარტაკიადა დამთავრდა, მაგრამ სპორტული სეზონი არ დამთავრებულა. როგორც ყოველთვის, სპარტაკიადის დამთავრებისთანავე ჩვენ ვიწყებთ მზადებას ახალი სპარტაკიადისათვის, ასეა ახლაც. ჩვენს წინაშეა დიდი ამოცანები, რომელთა გადაჭრა წინა სამ სპარტაკიადაში დაშვებული შეცდომებისა და მიღწევების განზოგადების საფუძველზე უნდა მოვახდინოთ. სპორტის სახეობათა ფედერაციებმა გულდასმით უნდა გაუკეთონ ანალიზი შედეგებს, გაითვალისწინონ ყველაფერი, რაც კი მზადებასა და გამოსვლებთან იყო დაკავშირებული. სპარტაკიადის შედეგები საჭიროა დავიყვანოთ თვითეულ სპორტსმენამდე, მწვრთნელამდე, ფიზკულტურელამდე. უნდა ვიმსჯელოთ შედეგებზე სალად, ახლავე დავსახოთ პერსპექტიული გეგმები.

ჩვენი ამოცანების მთავარი პუნქტია ტოკიოს ოლიმპიური თამაშები. ამჟამად საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში საქართველოს 85 სპორტსმენია, მაგრამ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მონაწილეობა ერთია და ოლიმპიური ნორმატივების შესრულება კი მეორე. ამისათვის ჩვენ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ იმ სპორტსმენებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიურ თამაშებში. რაც მეტი იქნება ოლიმპიადაში საქართველოს წარმომადგენელი, მით უფრო მტკიცე იქნება რესპუბლიკის სპორტული პრესტიჟი საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

იმისათვის, რომ გადაჭრილ იქნას მასობრიობის საკითხი და მასობრიობიდან მაქსიმალურად მეტი პერსპექტიული სპორტსმენის გამოვლენა, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ 1965 წლისათვის ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულთა რიცხვი ერთ მილიონამდე ავიდეს, ამ სერიოზულ ამოცანას შევასრულებთ იმ შემთხვევაში, თუ ყველა, ვინც ემსახურება რესპუბლიკაში ფიზკულტურასა და სპორტს საქმეს ენერგიულად, სიყვარულით მოეკიდება. ამას გარდა, ჩვენი ამოცანაა IV სპარტაკიადაზე, რომელიც 1967 წელს ჩატარდება, ყველა გუნდი მხოლოდ სპორტის ოსტატებით იქნეს დაკომპლექტებული.

ასეთია ჩვენი ამოცანები, რომელთა გადაჭრა უზრუნველყოფს არა მარტო მომავალ სპარტაკიადაზე წარმატებით გამოსვლას, არამედ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის საერთო აღმავლობას, მშრომელთა ფიზიკურად გამოწრთობას.

## ასეთია სტატისტიკური მონაცემები

**სპარტაკიადის** მსვლელობაში ხდებოდა ჩათვლა სოფლის ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს შორის. პირველ ადგილზე გამოვიდა რუსეთის ფედერაციის „ უროჟაი" — 400 ქულა, მეორე ადგილი დაიკავა უკრაინის „კოლგოსპნიკმა" — 142 ქულა, მესამე ადგილი წილად ხვდა საქართველოს „კოლმეურნეს" — 134,5. პირველ ექვსეულში მოხვდნენ აგრეთვე „კაირატი" (ყაზახეთი), „ვარპა" (ლატვია) და „უროჟაი" (ბელორუსია).

**სპარტაკიადაზე** დამყარებულ იქნა სულ 436 რეკორდი, მათ შორის 6 — მსოფლიოსი, 9 — ევროპის, 35 — საკავშირო და 386 რესპუბლიკური.

მსოფლიო რეკორდები დაამყარეს რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ლიტვისა და სომხეთის წარმომადგენლებმა. ევროპის რეკორდები—მოსკოვისა და ბელორუსიის სპორტსმენებმა, საკავშირო რეკორდები — 10 რუსეთის ფედერაციამ, 8 — მოსკოვმა, 3 — ლენინგრადმა, 5 — უკრაინამ, 1 — ბელორუსიამ, 2 — უზბეკეთმა, 1 — ლიტვამ, 2 — სომხეთმა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გააუმჯობესეს 20 რესპუბლიკური რეკორდი.

**საბჭოთა** კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე სულ ნაჩვენები იქნა 1.080 სპორტის ოსტატის შედეგი, 92 სპორტსმენმა პირველად შეასრულა ეს საპატიო ნორმატივი. ყველაზე მეტი ოსტატის შედეგი აჩვენეს მოსკოველებმა — 204, რუსეთის ფედერაციამ აჩვენა 192 ოსტატის შედეგი, უკრაინამ — 156, ლენინგრადმა — 129, საქართველო აქაც მეხუთე ადგილზეა — 60 ოსტატის შედეგი, მათ შორის ორმა პირველად შეასრულა იგი.

სურათზე: მომენტი განვლილი მატჩიდან ქუთაისის „ტორპედოსა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ შორის. შეტევა „მოლდოვას“ კართან.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა

ბათუმის დინამოელები წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონაში.

სურათზე: ბათუმელთა შეხვედრის მომენტი ტალინის თანაკლუბელებთან.

ფოტო ა. კებაბჩიანისა.

## საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

### პოლონეთი

საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელები, რომლებმაც მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შედგა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი, რომელშიც სხვებთან ერთად შევიდნენ თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები ლ. გოგოლაძე, გ. ჩიქვანაია, ვ. რომანოვი და ო. მიმინოშვილი. პირველი ორი უკვე გაემგზავრა ბრაზილიაში უნივერსიადაზე.

საქართველოს წყალბურთელთა გუნდის დანარჩენმა წევრებმა მიიღეს ტურისტული საგზურები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სამოგზაუროდ. ამ რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებასთან ერთად მოეწყობა რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ადგილობრივ გუნდებთან.

ამ რამდენიმე დღის წინ მოეწყო ერთი ასეთი შეხვედრა. თბილისის „დინამო“ ეთამაშა პოლონეთის ნაკრებს და დაამარცხა იგი — 5 : 2.

### რუმინეთი

რუმინეთში დამთავრდა იუნიორთა ტრადიციული ტურნირი კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობენ 16-18 წლის ასაკის სპორტსმენები.

ეს შეჯიბრება თავისებურ სამზადისს წარმოადგენდა იუნიორთა ევროპის პირველობის წინ, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები.

როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა კალათბურთელებმა და გათამაშებაში დაიკავეს პირველი ადგილები.

### ჩინეთი

პეკინში დაიწყო სოციალისტური ქვეყნების არმიების კალათბურთელთა ტრადიციული შეჯიბრება. საბჭოთა სპორტსმენები პირველ ტურში შეხვდნენ კორეის გუნდს და დაამარცხეს იგი ანგარიშით 84 : 49.

ტურნირში გუნდები ერთმანეთს ხვდებიან ჯერ ქვეჯგუფებში, ხოლო გამარჯვებულები ფინალში გაითამაშებენ საპრიზო ადგილებს.

## ტანვარჯიშულ იარაღებზე

თბილისის ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის დარბაზში ჩატარდა დინამოელთა საკავშირო პირადგუნდური შეჯიბრება მოზარდ ტანმოვარჯიშეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები. შეჯიბრებამ თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო, ვინაიდან სავალდებულო პროგრამის შესრულების შედეგად მხოლოდ 7-7 უძლიერესი ჭაბუკი და გოგონა ხვდებოდა ფინალში.

პირველობისათვის მებრძოლთა რიგებს სათავეში ჩაუდგნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ა. ჯანუყაშვილი და რ. განუგრავა, რომლებმაც კარგად შეასრულეს სავალდებულო ვარჯიშები. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ა. ჯანუყაშვილს, რომელსაც არც ერთ იარაღზე 9,4-ზე ნაკლები შეფასება არ დაუმსახურებია. ფინალურ შეიდეულში მოხვდა ჩვენი გუნდის კიდევ ორი წევრი—ნ. ბაბუნაშვილი და ი. რომელაშვილი. დანარჩენი 3 ვაკანტური ადგილი შეავსეს ლ. პეტრიკმა, ა. იტსონმა (ორივე ბელორუსიიდან) და ტ. ბელიაევამ (უკრაინა).

ნებისმიერმა ვარჯიშმა საკმაო კორექტივი შეიტანა ადგილების განაწილებაში. უკრაინელმა ტ. ბელიაევამ თანაბარი სიძლიერით გაიარა ყველა იარაღი და საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა. მაგრამ შემდეგ ჯანუყაშვილმა და განუგრავამ იშვიათი სიზუსტით და სილამაზით შეასრულეს თავისუფალი ვარჯიში და დაიმსახურეს მაღალი შეფასება — 9,6 ქულა.

ორდღიანი ასპარეზობის შემდეგ პირველი ადგილი 75,1 ქულით დაისაკუთრა ა. ჯანუყაშვილმა. მეორე ადგილზეა ტ. ბელიაევა, მესამეზე — ა. იტსონი. რ. განუგრავამ და ნ. ბაბუნაშვილმა გაიყვეს IV-V ადგილები.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ჭაბუკთა შეჯიბრებაც. თავიდან დაწინაურდა საქართველოს გუნდის წევრი შ. აზარაშვილი, მაგრამ მეოთხე იარაღის შემდეგ მას გაუსწრო გასული წლის ჩემპიონმა მოსკოველმა ნ. ვორონინმა, რომელიც სავალდებულო ვარჯიშების შესრულების შემდეგ 50,85 ქულით სათავეში ჩაუდგა უძლიერესთა შეიდეულს. მას 0,7 ქულით ჩამორჩა აზარაშვილი.

ა. ბარნოვი

## ჩატარდება თბილისში

ეს მოხდა 1796 წელს. რუსეთს სტუმრად ეწვია შვეციის მეფე გუსტავ VI დიდი ამალით. რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II, რომელიც თავის დროისათვის განათლებულ სახელმწიფო მმართველად იყო ცნობილი, ჩრდილოეთელი მეზობლის პატივსაცემად „ცოცხალი ჭადრაკი“ გამართა.

პეტერბურგის ერთ-ერთ მოზრდილ მოედანზე დახატეს დიდი საჭადრაკო დაფა. ფიგურების ადგილები დაიკავეს გადაცმულმა ადამიანებმა. მოშორებით საჭადრაკო მაგიდას მიუსხდნენ მეფის კარის ახლობელი თავადები ნარიშკინი და სტროგანოვი. ბრძოლა დაიწყო. დაფაზე გაკეთებულ სვლას იმეორებდნენ „ცოცხალ ჭადრაკზე“. უჩვეულო სანახაობას დაესწრნენ გუსტავ VI და ეკატერინე II.

ასეთია რუსეთში „ცოცხალი ჭადრაკის“ პირველი პარტიის გამართვის ამბავი.

XX საუკუნეში საყოველთაოდ გავრცელდა დღესასწაულებზე თამაში „ცოცხალი ჭადრაკით“. დიდად პოპულარული გახდა იგი დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. საბჭოთა კავშირში პირველად „ცოცხალი ჭადრაკი“ მოეწყო ლენინგრადში 1924 წლის ივლისს. 1927 წლიდან მოსკოვისა და ლენინგრადის ცირკების შენობებში ბევრჯერ მოწყობილა „ცოცხალი ჭადრაკი“ თეატრალური განხრით, როდესაც ანტრაქტებში (სვლებს შორის) მსახიობები ასრულებდნენ სიმღერებს, ცეკვებს და სხვა მხატვრულ ნომრებს. ჩვეულებრივ „ცოცხალი ჭადრაკის“ სათამაშოდ იწვევდნენ ცნობილ მოჭადრაკეებს.

1962 წელს ჩვენს ქვეყანაში განახლდა თეატრალიზებული „ცოცხალი ჭადრაკის“ სანახაობა. იგი პირველად მოეწყო მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლის სარბიელზე, რომელიც ვეებერთელა საჭადრაკო დაფად გადაიქცა.

...საღამოს გახსნა აუწყეს ფანფარებმა. მატჩის მთავარი არბიტრი გროსმაისტერი ი. ავერბახი აცხადებს მ. ბოტვინიკისა და ვ. სმისლოვის ორთაბრძოლის პირობებს.

კიდევ ერთი წუთის შემდეგ მანქანებით სარბიელზე შემოდიან მ. ბოტვინიკი და ვ. სმისლოვი. ისინი უსხდებიან საჭადრაკო მაგიდას და მატჩი იწყება...

თეატრალიზებული „ცოცხალი ჭადრაკი“, რომელიც თითქმის ორ საათს გაგრძელდება, ჩატარდება თბილისშიც. მასში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონები ნ. გაფრინდაშვილი, ტ. პეტროსიანი, გროსმაისტერები დ. ბრონშტეინი და ი. ავერბახი, აგრეთვე ცნობილი მსახიობები.

თ. გიორგაძე

### საკავშირო ფედერაციაში

გაიმართა ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციის საანგარიშო პლენუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლებმა. პლენუმმა ფედერაციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო. არჩეულ იქნა ფედერაციის ახალი შემადგენლობა. საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ ხელახლად იქნა არჩეული დ. გოსუდარიოვი, ხოლო პასუხისმგებელ მდივნად — ვ. კოლეგორსკი.

## შეხვედრა ფრანგ ველოსიპედისტებთან

ლენინგრადის ტრეკზე გაიმართა სსრ კავშირისა და საფრანგეთის ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. ასეთი სახის შეჯიბრება საფრანგეთის სპორტსმენებთან (მოყვარულებთან) უკვე დიდი ხანია არ ჩატარებულა ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ მან სპორტული საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

სპრინტში წარმატება ხვდათ წილად სტუმრებს პ. ტრანტენს და დ. მორელონს. ველოტრეკის დანარჩენ სახეობებში უპირატესობა საბჭოთა სპორტსმენთა მხარეს იყო. ს. მოსკვინმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესია 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში. მან ამჯერადაც პირველი ადგილი დაიკავა. წარმატება ხვდა წილად საბჭოთა ველოსიპედისტ ა. ბელგარდსაც. მან პირველი ადგილი დაიკავა 1.000 მეტრზე ადგილიდან გიტში. გამოდევნებით გუნდურ რბოლაში გაიმარჯვა ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა. სსრ კავშირის და საფრანგეთის ველოსიპედისტთა ამხანაგური შეხვედრის საერთო ანგარიშია 3 : 1 ჩვენი სპორტსმენების სასარგებლოდ.

## რბოლა დედაქალაქის ქუჩებში





გასულ კვირას თბილისში, კარლ მარქსის სახელობის ხიდის მახლობლად მოეწყო სპორტული ავტომანქანების რბოლა. შეჯიბრების ტრასა წარმოადგენდა შეკრულ წრეს. სპორტსმენებს უნდა გაევლოთ სულ 30 წრე, რომლის საერთო სიგრძე 50 კილომეტრს უდრიდა.

4 საკმაოდ მკვეთრი მოსახვევი მეტად საინტერესოს ხდიდა რბოლას. მრავალრიცხოვანი მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ამ მიმზიდველ ასპარეზობას, რომელშიც წარმატებას მიაღწია სპორტის ოსტატმა ტ. ზახარიანმა. მოტორბოლაში გამარჯვებული გამოვიდა თ. შალიბაშვილი.

სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ეს ინიციატივა უდავოდ მისაბაძია. კარგი იქნება თუ ასეთი სახის შეჯიბრებები ტრადიციად გადაიქცევა ჩვენს ქალაქში.

• • •

სურათებზე თქვენ ხედავთ რბოლის მონაწილეებს დისტანციაზე. მარცხენა ფოტოზე აღბეჭდილია რბოლაში გამარჯვებული ტ. ზახარიანი.

ფოტო და ტექსტი ი. ეგნატაშვილისა.



31
აგვისტო
1
სექტემბერი

# „დინამოს“ სტადიონზე

მონაწილეობენ: მსოფლიო ჩემპიონები ტ. პეტროსიანი და ნ. გაფრინდაშვილი, გროსმაისტერები ი. ავერბახი და დ. ბრონშტეინი. ჭადრაკის თამაშის მსვლელობის დროს დიდი კონცერტი საესტრადო და საცირკო ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. დასაწყისი 18 საათზე.

## 2 სექტემბერს საჭადრაკო ზეიმი—კონცერტი მთლიანი პროგრამით გაიმართება ბავშვებისათვის

დასაწყისი 17 საათზე.

31
აგვისტო
1
სექტემბერი

## სწორი გადაწყვეტილება

მონტანში (შვეიცარია) გაიმართა შაიბიანი ჰოკეის საერთაშორისო კავშირის მორიგი სესია, რომელმაც მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: ჰოკეისტთა ტურნირი ჩატარდეს 2 ქვეჯგუფად, როგორც ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის დროს. ოლიმპიელთა შეჯიბრებების წინ მოეწყობა კვალიფიციური თამაშები, რომლებიც დაიწყება 1964 წლის 28 იანვარს. 8 გამარჯვებული ბრძოლას განაგრძობს „ა“ ჯგუფში, სადაც გათამაშდება საპრიზო ადგილები. დანარჩენი 8 დამარცხებული გამოვა „ბ“ ჯგუფში. უკვე ჩატარდა კვალიფიციური თამაშების კენჭისყრა: სსრკ-უნგრეთი, შვეცია-იტალია, ჩეხოსლოვაკია-იაპონია ან ავსტრალია, კანადა-იუგოსლავია, ფინეთი-ავსტრია, გერმანიის გაერთიანებული გუნდი-პოლონეთი, აშშ-რუმინეთი, ნორვეგია-შვეიცარია.

ჰოკეისტთა საერთაშორისო კავშირმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მხოლოდ ის ქვეყანა მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონატისა თუ ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლებას, რომელიც სტუმართმოყვარეობით მიიღებს ტურნირის ყველა მონაწილეს.

## გოლები და გასტრონომია

მექსიკის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა სკოპელიმ დაიწყო 1966 და 1970 წლების მსოფლიო ჩემპიონატებისათვის ენერგიული მზადება. სკოპელიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან, როგორც იქნა, ამოიცნო ბურთების გატანის საიდუმლოება.

— „ფორვარდისათვის მთავარია, — განაცხადა მან, — კვების რეჟიმი, რომელიც დღეიდან მექსიკის გუნდის ჩემპიონატებისათვის მზადების პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი იქნება“.

კვების რეჟიმი, რომელიც დაამუშავა სკოპელიმ, მკაცრად დიფერენცირებულია. პირველი მაგიდა სავარჯიშო დღეებისათვის, მეორე მაგიდა — სათამაშო დღეებისათვის, მესამე მაგიდა — დასასვენებელი დღეებისათვის. „იმისათვის, რომ კარგი მწვრთნელი იყო, — ამბობს სკოპელი, — მთავარია იყო კარგი მზარეული. მხოლოდ წესიერად გამაძღარ მოთამაშეებს შეუძლიათ გაიტანონ ნამდვილი ბურთი“.

—ამჟამად ჩვენს გასტრონომიულ ბურთებს ვერ აიღებს მსოფლიოს ვერც ერთი მეკარე, — ირონიულად შენიშნავენ მექსიკის სპორტული ჟურნალისტები.

# სუმო

სპორტის ვერც ერთმა თანამედროვე სახეობამ, რომელიც საზღვარგარეთიდან იაპონიაში შეიჭრა, ვერ შეამცირა ეროვნული სახეობებისადმი ინტერესი. ამიტომ დღემდე ფართოდაა გავრცელებული ამოსავალი მზის ქვეყანაში კენდო (ჯოხებით ფარიკაობა), კიუდო (მშვილდოსნობა), კარატე (თავდაცვა) და ძიუ-დო, სუმო (ჭიდაობა). ომამდე და ომის პერიოდში ძიუდო და კენდო სკოლებში ისწავლებოდა, ამჟამად კი უნივერსიტეტებში, სკოლებსა და სხვადასხვა სპორტულ საზოგადოებებში აუცილებელი სწავლების საგანია.

სუმო, რომელზეც ჩვენ დაწვრილებით გვექნება საუბარი, ორი ადამიანის ჭიდაობაა, საიდანაც გამარჯვებული გამოდის ის, ვინც წრის შიგნით ან წრის გარეთ განსაზღვრულ ადგილზე მოწინააღმდეგეს აიძულებს სხეულის რომელიმე ნაწილით, ანდა ფეხის ტერფით შეეხოს იატაკს. რინგის ოთხივე კუთხეში სხედან მსაჯები, ესენიც ყოფილი სუმოს მოჭიდავეები არიან, მთავარი მსაჯი კი, საზეიმო კიმონოში გამოწყობილი, რინგის ამაღლებულ ადგილზე დგას და ხმამაღლა, ძახილით, სიმღერით, აცხადებს ჭიდაობის დაწყებას, შემდეგ კი — გამარჯვებას.

სუმოს მოჭიდავეები სრულებით არ გვანან ჩვეულებრივ, გრანდიოზული აგებულების, საშუალო იაპონელს. მათ გოლიათური აგებულება აქვთ და მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტს იწონიან. ისინი ხშირად 200 კილოგრამს აღწევენ. სუმოს დაწყების წინ მოწინააღმდეგეები გამოდიან რინგის შუაში და მარილს აბნევენ (მარილი ძველად იაპონიაში სისუფთავის სიმბოლო იყო და სიბინძურისაგან გაწმენდას ნიშნავდა). შემდეგ, ძველი ჩვეულების მიხედვით, თვითეულ ფეხს მაღლა სწევენ, რითაც ბრძოლისათვის მზადყოფნას გამოხატავენ და მთელი ძალით ეხეთქებიან ძირს. ეს მოთელვაა, მაგრამ მასში სულ სხვა აზრია ჩაქსოვილი — მიწის ღმერთთან მისალმება და ბოროტი სულებისაგან განწმენდა. შემდეგ ერთმანეთის პირისპირ ფეხმორთხმული შემოჰკრავენ ტაშს და ხელებს ფართოდ გაშლიან, რითაც მოწინააღმდეგესა და ღმერთს აჩვენებენ, რომ უიარაღოდ იბრძვიან. ამას მოჰყვება იერიში. არის შემთხვევა, როდესაც მოწინააღმდეგეებს მოგების თანაბარი შანსები აქვთ. კარგ თავდამსხმელს, კარგი დამცველიც ხვდება. მაშინ აჟიოტაჟი ზენიტს აღწევს, მაყურებელი ღრიალებს, ვიდრე ერთ-ერთი მოსხლეტით რინგს იქით არ გადავარდება. მთავარი მსაჯი გამარჯვებას სიმღერით აუწყებს და ხელახლა იწყება ჭიდაობა ახალი გვარების სიმღერით გამოცხადებით.

საუკეთესო მოჭიდავეთა ჯგუფს მაკუიდები ეწოდება: მასში 19 კაცი შედის. იმ შემთხვევაში, როცა ერთი და იგივე პიროვნება ორ სეზონში ზედიზედ გამარჯვებული გამოვა, მას იოკოზუნას უწოდებენ. იოკოზუნა ძალზე მაღალი სპორტული წოდებაა იაპონიაში.

მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი მრავალდღიან საგზატკეცილო ველორბოლაში (პროფესიონალთა შორის) „ტურ დე ფრანსი“ უდიდესი პოპულარობით სარგებლობს საფრანგეთის მოსახლეობაში. ველორბოლის მთელ ტრასაზე გამოფენილი მაყურებლები გულთბილად ულოცავენ წარმატებას გამარჯვებულებს.

სურათი, რომელსაც თქვენ აქ ხედავთ, გადაღებულია ერთ-ერთ ფრანგულ სოფელში. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილები აქაური გოგონები ეტაპზე გამარჯვებას ულოცავენ ცნობილ ფრანგ ველოსიპედისტს გ. სტაბლინსკის.

# საერთაშორისო ტურნირებზე

დუბროვნიკში (იუგოსლავია) დამთავრდა წყალბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „იადრანის“ თასზე. მასში მონაწილეობა მიიღო ევროპის ყველა უძლიერესმა ნაკრებმა გუნდმა საბჭოთა კავშირის გარდა. მასპინძლები შეჯიბრებაში ორი ნაკრები გუნდით გამოდიოდნენ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა უკანასკნელი წრის შეხვედრებს. იუგოსლავიის პირველმა გუნდმა დაამარცხა იტალიის ნაკრები — 4:1, ხოლო უნგრეთმა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — 5:2.

ტურნირში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. იუგოსლავია (პირველი ნაკრები) — 8 ქულა, 2. უნგრეთი — 6 ქულა, 3. იტალია — 4 ქულა.

• • •

ბუქარესტსა და კიუსტენდში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ვაჟთა გუნდები თამაშობდნენ რუმინეთის დედაქალაქში. აქ ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა რუმინეთის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ პოლონეთისა და ბულგარეთის კოლექტივები.

ქალთა ტურნირში, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი დაისაკუთრა იაპონიის ნაკრებმა, რომელიც მთელი თავით მაღლა იდგა დანარჩენ გუნდებზე. მეორე ადგილზე გამოვიდნენ პოლონეთის, ხოლო მესამეზე — რუმინეთის ფრენბურთელები.

• • •

მიუნჰენში ყოველწლიურად ეწყობა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით.

ვაჟთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლაველი პილიჩი და ჩილელი როდრიგესი. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა როდრიგესმა. ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა სამხრეთაფრიკელმა შურმანმა, რომელმაც ფინალში მოუგო ავსტრალიელ ტერნერს.

**რედაქტორი ო. უგულავა.**

## ფეხბურთი

## დღეს!

„ბურევესტნიკის“ სტადიონი
საქართველოს თასის გათამაშების
ფინალი

ფიზ. ინსტიტუტი (თბილისი)-
„იმერეთი“ (ქუთაისი)

დასაწყისი 17 საათზე.

## 29 აგვისტო

„ბურევესტნიკის“ სტადიონი
სსრ კავშირის პირველობა
„ა“ კლასი

„დინამო“ (თბილისი)-
„არარატი“ (ერევანი)

სათადარიგო შემადგენლობანი.

დასაწყისი 17 ს. 45 წ.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 8-85-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-85-09,
გამომშვების — 8-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 11582